თქვენგან ვინც დაინახავს მოუწონარ (ისლამში მიუღებელი) ქმედებას, გამოასწოროს თავისი ხელით, და თუ ვერ შეძლებს ამას, გამოასწოროს თავისი ენით და თუ ამითაც ვერ შეძლებს, მაშინ თავისი გულით (ანუ შეიძულოს ის საქმე) და ის იქნება რწმენის ყველაზე სუსტი გამომჟღავნება

გადმოცემულია აბუ საიდ ალ-ხუდრისგან (ალლაჰის იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, თუ როგორ ამბობდა ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «თქვენგან ვინც დაინახავს მოუწონარ (ისლამში მიუღებელი) ქმედებას, გამოასწოროს თავისი ხელით, და თუ ვერ შეძლებს ამას, გამოასწოროს თავისი ენით და თუ ამითაც ვერ შეძლებს, მაშინ თავისი გულით (ანუ შეიძულოს ის საქმე) და ის იქნება რწმენის ყველაზე სუსტი გამომჟღავნება».

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვიბრძანებს, რომ გამოვასწოროთ ყოველივე მოუწონარი, რაც ალლაჰმა და მისმა მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალეს, ჩვენი შესაძლებლობის შესაბამისად. თუ ვინმე ხედავს ცოდვას, მას ევალდებულება, რომ გამოასწოროს იგი ხელით, თუ ამის შესაძლებლობა აქვს. თუ მას ამის შესაძლებლობა არ აქვს, მაშინ მან უნდა შეცვალოს ის სიტყვით, გააფრთხილოს ის, ვინც ამას აკეთებს, აუხსნას ჩამდენს მისი ზიანი და მიუთითოს სიკეთისაკენ ნაცვლად ამ სიავისა, თუ ადამიანი ამ დონის მიღწევას ვერ შეძლებს, მაშინ უარყოს იგი გულით, რომ სძულდეს ეს სამარცხვინო საქმე და მტკიცედ გადაწყვიტოს, რომ თუ მისი შეცვლის ძალა ექნებოდა, ამას გააკეთებდა. გულით შეცვლა კი არის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რწმენის ხარისხი დასაგმობი ქმედების შეცვლაში.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65001